№ 260 დეკემბერი 6, ოთხშაბათი 1889 დეკემბერი 6, ოთხშაბათი № 260

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აგზალის ქუჩა, თ. გარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ. კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 დეკემბერს.

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს, ან გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 5 დეკემბერი

წინა წერილებში ჩვენ უსლარზე და მის მიერ შედგენილს ანბანზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა კიდევა ვსთქვათ ამ შესანიშნავის კაცის შესახებ.

ბარონი პ. კ. უსლარი ფრიად შესამჩნევი მეცნიერი იყო და დიდი ღვაწლიც დასდო მან კავკასიის საისტორიო და სალინგვისტო მეცნიერებას. მაგრამ მისი ღვაწლი უფრო შესამჩნევია თავის პრაქტიკულის თვისებით.

უსლარს აზრად ჰქონდა გაერჩინა მწერლობა იმ მთიელ ტომთათვის კავკასიაში, რომელთაც მანამდე საკუთარი ანბანიც-კი არა ჰქონდათ. საჭიროა საკუთარი წერა-კითხვა ჰქონდეთ მთიელებს, რუსეთი უამისოდ ვერას გააკეთებს, ვერას გაარიგებს მთებში; თუ წერა-კითხვა არ გაჩნდა მთიელთათვის, რუსული სწავლა-განათლება ვერ გავრცელდება, მართვა მათის საქმეებისა ძნელი იქნება ჩვენთვისაო.

ამიტომ უსლარს საჭიროდ მიაჩნდა შესწავლა მთიელთა ენებისა და შედგენა ანბანისა თითოეულის ტომისათვის. კავკასიის ენებს თუნდა მარტო იმიტომ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს იცოცხლებენ ის ენებიო. ამას გარდა რა გზით შეიძლება შევიტანოთ იქ ჩვენი სწავლა, ჩვენი მეცნიერება, თუ დედაენა არ ვასწავლეთ და დედა-ენაზე დაწერილი პირველ-საკითხავი წიგნები არ ვაკითხეთო.

ყოველივე ეს უსლარმა დიდის მოხერხებით, დიდის ცოდნით განმარტა თავის წერილებში: „О распространеніи грамотности между горцами“ და „Предположеніе объ устройствѣ горскихъ школъ“.

ამიტომ დაიწყო მან სწავლა კავკასიის ენებისა. დიდი ნიჭი, დიდი ხალისი და შრომის-მოყვარეობა გამოიჩინა მან ამ საქმეში. პირველშივე შეისწავლა აფხაზური, ეს ფრიად ძნელი და მეტად რთული ენა. შემდეგ შეისწავლა ჩაჩნურიცა, რისთვისაც ღირსი შეიქმნა დემიდოვის ჯილდოსი. მერე კიდევ შეისწავლა ექვსი-შვიდი სხვა მთიური ენაც: ენა ყაზიყუმუხელებისა, დარღინელებისა, ყიურუნელებისა, ტაბასარანებისა და სხვანი. ამავე დროს სწავლობდა: ქართულს, მეგრულს, სვანურსა და ლაზურს. დაიწყო აგრეთვე სწავლა ყაბარდოელის ენისა...

რაკი უსლარმა ცოტაოდნად შეიგნო ხასიათი და თვისება მთიურ ენებისა, მიჰყო ხელი ანბანის შედგენასაც სხვა-და-სხვა ტომისათვის. უსლარი დიდს გაჭირებაში ჩავარდა იმის გამო, რომ არ იცოდა, რომელი ანბანი აეღო საფუძვლად ახალ ანბანების შესადგენად. უთუოდ საჭირო იყო, აერჩია რომელიმე ცნობილი ანბანი და იმაზედ დაემყარებინა მთიელთა ანბანების შედგენა. ამ მხრით მისი ყურადღება მიიქცია ქართულმა ანბანმა. ქართული ანბანი უფრო შესაბამია მთის ტომთა სხვა-და-სხვა ხმის გამოსახატავადაო. ყველამ იცის, რა დიდის ქებით იხსენიებდა უსლარი ქართულს ანბანს: ქართული ანბანი სრული და ყოვლის მხრით უნაკლულო ანბანია თვით ქართულის ენისათვის და ამას გარდა ძალიან კარგად გამოდგება მთიელთათვისაცაო.

მაგრამ უსლარმა მალე ზურგი შეაქცია ქართულს. მისის აზრით თუმცა ქართული ანბანი უნდა დასდებოდა საფუძვლად მთიელთა ანბანების შედგენას, მაგრამ სხვა-და-სხვა მოსაზრებამ დასძლია უსლარი და ისევ რუსული დაამჯობინა ქართულს. მით უმეტეს დასძლია რუსულმა, რომ მოგრენმა წინად ოსურს ანბანს ქართული-კი არ დაუდო საფუძვლად, არამედ რუსული.

უსლარი ამბობდა: „დღეზედ უფრო ცხადია, რომ ქართული ანბანი უნდა იქმნას მიღებული საძირკვლად იმ საზოგადო ანბანისა, რომელიც უნდა შესდგეს წერა-კითხვის უქონელ მთის ტომთათვისაო, მაგრამ თუ ქართველთაგან გადმოვიღებთ არა მარტო ანბანის წესს, სისტემას, არამედ თვით ასოებისა და ნიშნების სახემოხაზულობასაც, ჩვენვე გადვიკიდებთ ისეთს ჭირს, რომელიც მით

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

*ავილე და ველარ მოგე.—სხვათა ქირი—ღობეს ჩხირი.—წვეულება და ღრეობა.—„ტუდი-სუდი, არლანო“.*

თუმცა, ერთის მხრით, ჩვენში მარტო თავისი თავი მიაჩნია პატიოსან კაცად, ვისაც-კი ერთი-ორი გროში ჩაუგდია ხელში, გინდაც ამისთვის ეხმარა საქვეო და ზოგჯერ სამარცხვინო საშუალებაც, მაგრამ მეორე მხრით ქართველ კაცს არც ის ამბავი მიაჩნია სათაკილოდ, რომ შუბლზე მსხვილის ასოებით ჩაბეჭდილი აჯდეს სიტყვები— „ავილე და ველარ მოგეო“, გინდაც აღლოს საქმის გულისთვის-კი არა, არამედ ღორ-მუცლობისთვის და გინდაც ველარ მიეცეს შეუძლებლობის გამო-კი არა, არამედ იმის გამო, რომ სრულებით თავისებურად, ორიგინალურად ესმის ვალი და მოვალეობა.

ფულიან ქართველებზე, რომელთაც მარტო თავისი თავი ჰგონიათ პატიოსანი იმ იმედით, რომ რაღაც მანქანების წყალობით დასწოლიან ფულებს, ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება, რადგან ამისთანა ქართველები თითო-ოროლა თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე და ამიტომ იმათი ავი და კარგი, იმათი ზნე და ჩვეულება, იმათი ხასიათი თითქმის ყველასათვის ცხადია. ისიც ყველამ იცის, რომ ფული თავის თავად არ შეადგენს არც პატიოსნებას, არც უსინდისობას. იგი მხოლოდ იარაღია პატიოსნობისაცა და უსინდისობისაცა. თუ შენმა გარემოებამ, შენმა აღზრდამ ჩაგიდო მკერდში სუფთა, ქველი, მართებული, პატიოსანი გული, აანთო შიგ ლამპარი ძმათა სიყვარულისა, ქვეყნის სამსახურისა და სხვა ამისთანა სიკეთისა, მაშინ მოგეცა სიცოცხლე, რომ ფული დიდს უნარს გამოიჩენს და სამსახურს გაგიწევს სახელის მოხვეჭაში, მალამოდ დაედება მოძმეთა ჭრილობასა და ქვეყნის ტკივილს. მაგრამ თუ მკერდში გულის მაგიერ ციების ლოდის ნამტვრევი ჩაუდვია შენთვის გარემოებას და დაუშორებიხარ ყოველსავე ადამიანურს მისწრაფებას, აქ ფული არა თუ ვერას გიშველის პატიოსნების შეძენასა და სახელის მოხვეჭაში, პირ-იქით, უფრო ხელს შეგიწყობს, რომ ცხრა მთას იქით გაექცე ამ პატიოსნებას.

„ავილე და ველარ მოგეობა“-კი უფრო გავრცელებული სენია და ხშირი ამბავია ჩვენთა თანამემამულეთა შორის. ამიტომ აქ უფრო ნათლად სჩანს ჩვენი ქართული ხასიათი და ჩვენც ამის გამო უფრო გრძელი სიტყვა დაგვჭირდება ამ საგანზე. ეხლანდელ ქართველ კაცს თავისი საკუთრება ძალიან მიაჩნია და სწამს, გინდაც ეს საკუთრება ღირდეს სულ ერთიან რაღაც გაფხაჭნილ ცალი ფული, მეტი არა, და ამავე დროს ტყემლის ჩირი ჰგონია სხვისი საკუთრება, გინდაც ამის ფასი იმ სიდიდისა იყოს, რომ ვერც-კი გამოიანგარიშოს ხეირიანად. რა-კი ძირეული შეხედულობა ეხლანდელის ქართველისა ამგვარია, აღარ უნდა გვიკვირდეს, რომ იგი თავისას არაფისთვის და არაფრისთვის არ გასწირავს, თუ იმის ნებაზე იქნება საქმე მივარდნილი, და სამაგიეროდ არ დაჰზოგავს სხვის საკუთრებას, თუ იმის ნებაზედვე მიაგდეთ საქმე. მაგალითების ჩამოთვლით არ მოვაბეზრებ მკითხველს თავს. საკმარისია მიიხედ-მოიხედოთ სოფლადა და ქალაქებში. ყველგან ჰნახავთ, რომ ჩვენი თანამემამულე უდიერად ეკიდება სხვის საკუთრებას, თუ-კი დაბალი ღობე შეხვდა, თუ-კი მოპასუხისა არა აქვს შიში და კრძალვა. ქვრივ-ობლის სარჩოს ეპატრონება იმისი ღონიერი მეზობელი და ხმის გამცემი არავინ არის. ობლის ქონებასა და მამულ-დედულს სჭამს იმისი ნათესავი-მზრუნველი და სინიდისი-კი სრულებით არ ამხელს, არ აწუხებს ასეთის საქციელისათვის.

**

აქ არა თუ სინიდისის მხილებას არა აქვს ადგილი, პირ-იქით, თუ-კი ვინმემ მოახერხა და უშიშრად ჩაიგდო ხელში მოძმის საცხოვრებელი, ამაყად შესცქერის ქვეყანას, თითქო სიკეთით მისი ცალი და ბადალი სხვა აღარავინ მოიპოვებოდეს დუნიაზედაო. იმას-კი აღარ დაგიდევს, რომ ასეთის საქციელით ბევრჯელ სულ ერთიან რიყეზე დარჩებიან ხოლმე მისნი მოძმენი და ლუკმა-პურის საშოვნელად ხელი უქირავთ უწყალოდ გამოწვდილი. მაგრამ გამარჯვებული არას დაგიდევთ, იმისთვის სხვათა ქირი ღობეს ჩხირია და მეტი არაფერი.

აქვე უნდა ვსთქვა, რომ ასეთი შეხედულობა სხვათა კუთვნილებაზე მარტო ქართველის განსაკუთრებული თვისება არ არის. ამ გვარივე და ამაზე უარესი შეხედულება აქვს ყველა მის სამეზობლო ერს. მაგრამ აქ, მართალი გითხრათ, სანუგეშო მაგდენი არა არის-რა. სხვათა ავ ზნეობა როდი უნდა იყოს ჩვენთვის სავალდებულო და ან თავის გასამართლებელი. ცალკე კაცი თუ მთელი ხალხი მაშინ არის კარგი, როდესაც ეთაკილება სხვათა მუნათი და თავის მკლავის იმედით განვლის ცხოვრების უსწორ-მასწორო გზას, თავისის საკუთარის მხნეობითა შოულობს სარჩოსაბადებელს და ამიტომ არავის არა აქვს უფლება საყვედურით ჩაამწაროს ლუკმა-პური, უკიჟინოს სხვათა საკუთრების უსამართლო დაპატრონება და სხვა ამისთანა დაბალი საქციელი. ჩვენში ასეთი ვაჟკაცური შეხედულება, ასეთი საქებარი ამაყობა აქა-იქ-ღა თუ ბჟუტავს, და საზოგადოდ-კი თითქმის ყოველი ჩვენი თანამემამულე, აქვს შეძლება თუ არა, სულ სხვას შეჰყურებს ხელში—აცა ვინ რას მომაწოდებსო, რომ ერთი დილიდამ საღამომდის ავგრიალო ქუჩებზე ფაიტონი და მტერს თვალები დავუყენოვო, ან ისეთი წვეულება და ისეთი ღრეობა გავმართო, რომ მთელ ქვეყანას იმის მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდეს-რაო. ნატვრის თვალიც ჩვენს კაცს მარტო იმიტომ უნდა, რომ ჩაიგდოს ხელში უთვალავი ქონება და ასე უგემურად ჰფლანგოს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ნატვრის თვალს დაჰპატრონებია ერთი უმსგავსი მაშრიყ-მაყრიბის ქაჯი და ფიცი დაუდვია, რომ ხორციელს აღარავის ზედაც აღარ ასუნებინოს. ქონების მოსაპოვებლად ქართველ კაცს არ შეუძენია მეყაითობა... მეყაითობა-კი არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველისთანა მფლანგავი და მხარჯავი სხვა ხალხი აღარ მოიპოვება დედამიწის ზურგზე. მიეცით ქართველ ხალხს სიმდიდრე მთელის ინგლისისა და ამერიკისა, მთელის საფრანგეთისა, გინდაც მთელის ქვეყნისა, და მალე მტერი თქვენ მოგიკვდეთ, მალე იმან გააქროს და ბოლო მოუღოს ამ აუარებელს სიმდიდრეს. მაშინ გენახათ ფაიტონების გრიალი, წვეულება და ღრეობა! არღნების ჭიჭინი სულ დაგვაყრუებდა! სამაგიეროდ, რა დიდს ქება-დიდებაში ვეყოლებოდით ჩვენებურ მედუქნეებს!.. მაგრამ ერთი ათიოდე წლის შემდეგ ქვეყნის სიმდიდრეც გაჰქრებოდა, და ჩვენც სწორედ იმავ დღეში ვიქნებოდით, რა დღეშიაც ეხლა ვართ.

ასეთი საშინელი და გაუმაძღარი მადა აქვს ქართველ კაცს და მიზეზიც ეს არის, რომ დღეს ჩვენოდენა ვალი არავისა ჰმართებს. ქართველი კაცი ყელამდე ვალსა და ვახშშია დაფლული, რაც-კი სულს აქეთ მოიპოვება, ყოველივე ჩაგირავებული აქვს ან ბანკებში, ან კარაპეტებთან და ზოგს იქნება თვით სულიც გირაოთა ჰქონდეს სადმე მიბარებული, ვინ იცის. ჩვენში სწორედ თითით საჩვენებელია უვალო ქართველი და ამიტომ ხშირად ისიც-კი, ვისაც არავისი არა ჰმართებს-რა, ისიც-კი ჩივის — მოვალეები მარჩობენო, თითქო ძალიან თავის მოსაწონებელი ამბავი იყოს ვალი. ან-კი რა ჰქმნას, როდესაც ყველანი სჩივიან, ყველას ენაზე მარტო ეს-ღა აკერია და როგორ გაუწიონ ურთიერთობა თავის მეზობლებს, თუ იმათის ენით არ ილაპარაკეს, ტყუილებით მაინც არ მოჰფხანეს გული და არ შეუმსუბუქეს მწუხარება.

**

ვალი სხვაგანაც იციან, მაგრამ იმ აზრით-კი არ იღებენ ვალს, რომ თავის ხელით წაიჭირონ სახელი ყელზე და სახლის წვერი ვალის გამცემს ჩა-

უფრო მავნებელი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული განათლება კავკასიაში... მეტი ღონე არ არის, ისევ რუსული ანბანი უნდა მივიღოთ საფუძვლად და იმის ასოების მოხაზულობა შევუწყოთ და შევუხორცოთ ქართულს ანბანს". *)

აი ამ მოსაზრებათა გამო ზურგი შეაქცია უსლარმა ქართულს ანბანს, თუმცა ცხადად ჰხედავდა, რომ იმაზედ უკეთესი ანბანი სხვა არ იყო მთიელთა ანბანების შედგენაში სახელმძღვანელოდ და გამოსაყენებლად. ამ შემთხვევაში უსლარმა უღალატა მეცნიერებას და ისეთს მოსაზრებას აჰყვა, რომელსაც მხოლოდ სადღე-ხვალიო მნიშვნელობა აქვს და არა სამარადისო, საუკუნო, გარდუვალი.

აი ასე იყო ის საქმე, რომლის გამოც ჩვენს ენას ასცდა დიდი ბედი. უსლარის პირველი აზრი რომ განხორციელებულიყო, დღეს ჩვენებური წერა იქმნებოდა შემოღებული და გავრცელებული კავკასიის მრავალ ტომს შორის. ის წიგნებიც, რომელიც მრავლად დაიბეჭდა მაშინ, ესე იგი ამ 25 წლის წინად, მთიელთათვის, ჩვენის ქართულის ასოებით იქნებოდა დაბეჭდილი. ამ გარემოებას, რასაკვირველია, მცირეოდენი მნიშვნელობა არ ექმნებოდა ჩვენთვის. ერთ გვარი ანბანი, ერთ გვარი წერა გარევანს, მეხანიკურს კავშირს მაინც ჩამოაგდებდა ჩვენსა და მთიელ ტომთა შორის; ცოტად თუ ბევრად მეტს კულტურულს მნიშვნელობას მისცემდა ჩვენს ქვეყანას და, თუ ჯერ ისევ ეხლა მთიელნი ისე გვიყურებენ, როგორც უმთავრესს, პირველს ერს კავკასიისას, მაშინ უფრო ფეხს მოიკიდებდა ასეთი მნიშვნელობა ქართველთა ტომისა..

გ—გ

*) იხ. წინასიტყვაობა, დაწერილი უსლარის თხზულებისათვის: „Древнѣйшія сказанія о Кавказѣ" და ჩვენი წერილი ამ საგნის შესახებ ჟურნალი „ივერია", 1882 წ., № 1.

## ახალი ამბავი

*** ბევრი საჩივარი მოგვდის იმ წესის გამო, რომელიც თურმე ჰსუფევს ტფილისის რკინის გზის სადგურზე შესახებ ბარგის გაგზავნ-გამოგზავნისა. აბა, ამაზედ სადა საქმე რაღა უნდა იყოს: მიიტანო ბარგი, ააწონინო, მისცე ფული, გამოართო კვიტანცია, ჩაიდო ჯიბეში და გასწიო შენს გზაზე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ უბრალო საქმეზე ზოგს მთელი ერთი დღე ეხარჯება და ზოგს ორიც-კი. რამდენი დედაკაცი დაბრუნებულა თურმე უკან იმის გამო, რომ ვერ მიუღია ბარგის კვიტანცია და ამიტომ მეორე-მესამე დღეს ძლივსა ჰღირსებია ქალაქიდამ გასვლა. დაბალ ღობეზედ მიაჩნიათ საწყალი ხალხი და ვინ არ გინდათ, რომ ზედ არ გადიარონ. მიზეზად ბარგის გაუგზავნელობისა შემდეგს უწესოებას ასახელებენ: თურმე როდესაც მიგაქვს ბარგი, მაშინვე ჩამოგართმევენ მუშები და, თუ საწყალი კაცი ხარ და მეტადრე ქალი, შენს ბარგს სულ ძირში მოაქცევენ. რაც უნდა ეხვეწო და ემუდარო, შენს ბარგს არ ღირსებენ სასწორს, ვიდრე ყველა [illegible] ბარგს არ ასწონავენ, გინდაც ეს ხვევები შენზე ორი-სამის საათის შემდეგ მისულიყვნენ. მაგრამ აგერ შენც მოგეშვა გულზე, აგიწონეს ბარგი. ახლა კვიტანციის მიღებაა საქმე. არ გაძლევენ კვიტანციას. ხან ერთი მუშა მოგიახლოვდება და ჰკუას გასწავლის — მოიტა ერთი აბაზი და ეხლავ გამოგიტან კვიტანციასაო. თუ გაქვს ერთი მომეტებული აბაზი, შენი ბედი, არა-და, ელოდე, მანამ მოგეწყინებოდეს, ერთი დღე, ორი დღე. მხოლოდ როცა დარწმუნდებიან, რომ კაცს მარტო იმდენი უშოვნია, რაც ბარგის გაგზავნას სჭირდება და მომეტებული აღარა აქვს-რა, მაშინ ეღირსები კვიტანციის მიღებას. რამდენად მართალია ეს ამბავი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თუ ცოტაოდენი მაინც არის აქ სარწმუნო, სწორედ კარგს იზამდა რკინის გზის მმართველობა, რომ ამ საქმისათვის ყურადღება მიექცია.

*** ვერც ჩვენი ცხენის რკინის გზა მოიწონებს თავს რიგიანის წესებით. ამ საცოდავ კონდუქტორებს თავის დღეში არა აქვთ წვრილი ხურდა, ხან კაპიკიანებს ვერა ჰშოულობენ, ხან ორ-კაპიკიანს, ხან სრულებით ვერ ახურდავებენ ქაღალდის ფულს და ამიტომ მგზავრს აიძულებენ-გინდა თუ არა, სადგურამდე უნდა იჯდე ვაგონში, მხოლოდ იქ დაგიხურდავებთო. კაცს მარტო ნახევარ გზის გავლა რომ უნდოდეს, მთელი ლიანდაგი უნდა გაიაროს ხურდის მისაღებად. ამის გამო თითქმის ყოველთვის უსიამოვნება აქვთ კონდუქტორებსა და მგზავრებს, რომელნიც ამის ბრალს კონდუქტორებს ახვევენ კისერზე, მაშინ-როდესაც აქ ბრალი თვით „უსახელო საზოგადოების" მმართველობასა აქვს და სხვას არავის: იმაზედ ადვილი რა უნდა იყოს, რომ კონდუქტორებს მუდამ საკმარისი ხურდა მისცენ და აარიდონ თავიდამ უსიამოვნება.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მთავრობა კვირა-უქმე დღით თავს უყრის ყველა შეგირდებს (ამ სასწავლებელში სწავლობს 210—220 მ.-წაფე) და უკითხავს სასარგებლო, ან მავნებელ მწერებისა, ქვემძრომთა და სხ. ცხოველთა შესახებ ადვილად გასაგებს წიგნაკებს.

*** ახალ-სოფლის მწყემსების მკვლელი ავაზაკები უკვე დაიჭირეს და ქალაქში ჩამოიყვანეს. სულ 16 ავაზაკია. ისინი გუშინ-წინ შეთოკილ-შებორკილნი სამხედრო სამმართველოდგან მეტეხის ციხეში წაიყვანეს. გამოძიება იმათის საქმისა მიუნდვიათ ბ-ნ ვასაკოვისათვის.

*** გუშინ-წინ, 4 დეკემბერს, მორიგი კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი არ შესდგა, რადგან ჯეროვანი რიცხვი ხმოსანთა არ მოგროვდა. ეს ორჯელ ზედი-ზედ გადაიდო კრება საბჭოსი.

*** გუშინ-წინ ბ-ნ მოლჩანოვსკის საბენეფისოდ წარმოადგინეს საზაფხულო თეატრში „ფაუსტი". ფაუსტის როლს თამაშობდა ბ-ნი ვანდერიკი, მარგარიტასას-ლატერნერის ქალი. მობენეფისემ რამდენიმე საჩუქარი მიიღო. ხალხი საიმისოდ ბევრი არ დასწრებია ამ უკანასკნელს წარმოდგენას, რომლის შემდეგაც დასი ბაქოში მიემგზავრება.

*** გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თხოვნით მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა დანიშნა ფიცხელი რევიზია ხსენებულს სასწავლებელში. რევიზორად დანიშნულ იქმნა სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი მორტინსკი.

*** საინგილო: კარგა ხანია ჩვენკენ სახლების წვა და გადაბუგვა შეჩერებულ იყო. ხოლო ამ შემოდგომაზე ავის სულის პატრონებმა ისევ მიჰყვეს ხელი ამ ხალხის კეთილდღეობის დამამხობელს ბოროტებას. ოქტომბრის თთვეს ერთი კვირის განმავლობაში ორი გლეხ-კაცის ოჯახი დააქციეს და დაანელეს: მათ შორის ერთია ყველასაგან პატივცემული ნიკოლოოზ ბაირამაშვილი, რომელსაც ალათემურის ბინებში სამი სახლი ერთად გადაუწვეს. ქარიანი ღამე ყოფილიყო, ერთის სახლისთვის წაეკიდებინათ და, ვიდრე პატრონებს გაეგოთ, ცეცხლის ალს მოეცვა სამივე სახლი. პატრონებმა ძლივს სახლიდგან გამოაღწიეს. სახლებს გარდა დაიწვა ოჯახის ყოველივე მოწყობილობა: ნავობი, კასრები, ხორბალი, ჩალთუქი, ერთი ცხენი, ღობე, ალაყაფის კარები (დარვაზი) და სხვ. როგორც ამ გლეხისა, ისე მეორეს სახლის დამწველები დღესაც ვერ აღმოუჩენიათ, ისევე ვერა, როგორადაც ვერ აღმოაჩინეს დიმ. ჯანაშვილისა და მრავალთა სხვათა სახლის მწველები. აქ

---

უგდონ ხელში—აჰა, საითაც გინდა, მათრიეო, როცა სურვილმა მოგიაროს, გასწი საბლის წვერსა და დამარჩეო. განვითარებული კაცი, რომელმაც იცის თავისი პატივი და აფასებს თავის ღირსებას, ძალიან უფრთხის ვალს, და თუ მიჰმართა სესხს, მიჰმართავს მარტო ორ შემთხვევაში — ან მაშინ, როდესაც დანა ყელთან არის მომდგარი და გაჭირებიდგან დახსნის საშუალება სხვა აღარა ეგულება-რა, ან მაშინ, როდესაც აშკარადა ჰხედავს, რომ სესხით თავის საქმეს ერთი-ორად წინ წაიგდებს, გაიორკეცებს შეძლებას, გაიძლიერებს საკუთარს კეთილდღეობას. მაგრამ ორსავე შემთხვევაში სესხი მისთვის მძიმე ტვირთია, რომელიც ჰჩაგრავს ზნეობით, უტეხავს გულს, და ამიტომ მთელი მისი მხნეობა, მისი თავ-მოყვარეობა, ყოველი იმისი აზრი და ფიქრი იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება, ადრე გაინთავისუფლოს თავი ვალისაგან და მალე მოახერხოს, რომ ყველას კვლავინდებურ თამამად შეჰყურებდეს, როგორც უვალო კაცი, თავისუფლად ამოისუნთქოს, როგორც ამოისუნთქებს მუშა, რომელმაც ზურგიდამ მოიხსნა ათ ფუთიანი საცალო.

სრულებით სხვაფრივ ირჯება ჩვენი თანამემამულე, გარდა ქართველ გლეხობისა. გულადი კაცი გახლავთ და ამიტომ არ ეშინიან ვალისა, წარბსაც არ შეიხრის და რამდენსაც გინდათ აიღებს ვალს, ოღონდ-კი ფულის გამცემი მიჰგვარეთ. სხვები თუ მარტო ორს ზემოდ დასახელებულს შემთხვევაში მიჰმართავენ ვალს, ქართველი კაცი არც ერთს შემთხვევას არ დაიწუნებს, ოღონდ-კი ფული ასესხეთ. უჭირს თუ არ უჭირს, სულ ერთია, მაინც ისესხებს, იმიტომ-რომ ფული საქმისთვის-კი არ უნდა, იმისთვის უნდა, რომ თავისი ჭია გაახაროს, შინ მოყვარეს აუბას თვალები და გარეთ მტერს, ერთის სიტყვით, ფულით იკოჰაოს, მანამ სულ ერთიან არ გააბნევს ბზესავით და ჯიბე-გაფხეკილი არ გამოეღვიძება რომელსამე სასტუმროში ან ჩვენებურს დუქანში, შემდეგ ხანგრძლივის წვეულებისა და ღრეობისა.

რაღა თქმა უნდა, რომ რაკი ასე ადვილად, ასე წინ-დაუხედავად, ასე გულადად იღებს ჩვენი კაცი ვალს, ფიქრადაც არ მოსდის იმისი გადახდა, თუ დოგა-დოგად არ ადგეხარ თავსა და დაუნდობლად არ უჭერ საბლის წვერს, რომელიც თითონვე გადმოგცა ხელში. დღეს ამისთანა საბლის წვერი უპყრიათ ხელში ცალკე სხვადა-სხვა ბანკებს და ცალკე კარაპეტებს. მანამ არ წაგვიჭერენ ყელში, მანამ ვართ ჩვენთვის არხეინად; წაგვიჭერენ კიდე-და, ჩავცვივდებით ერთ საცოდაობაში, ვფორთხალობთ, გარეშე მაყურებელთ გული უკვდებათ ცოდვით, ვიდრე არ გამოჩნდება ვინმე „ღვთის კაცი" და ხელს არ გაგვიმართავს. ათ თუმანს რომ ვვედავებოდნენ, ჩვენ ოცის თუმნით ვიმართავთ ხელს, რომ ათი ვალში მივცეთ და ათი კიდევ დუქანში გავახალოთ. რასაკვირველია, დიდხანს ვეღარ გასტანს ჩვენი ასეთი ყოფა და ერთს მშვენიერს დილას პატარა ჩაქუჩი მოუღებს ბოლოს ჩვენს უშველებელვალებს და ერთიან გაგვასწორებს მიწასთან. იქნება მაშინ მაინც ამოვისუნთქოთ, მაშინ მაინც მოვისვენოთ, მაშინ მაინც მივმართოთ მუყაითობას და დავადგეთ ისეთს უტყუარს გზას, რომელსაც ფეხ-აკრებით მიჰყავს განვითარებული კაცი მკვიდრ კეთილ-დღეობისაკენ.

მანამდე-კი ხშირი იქნება ასეთი მაგალითები: ერთს ქართველ თავადიშვილს, როგორც ყოველ კეთილშობილ ქართველს, მოუვიდა დრო ფულის შეტანისა ბანკში, თორემ მამულს გაუყიდდნენ. ჯერ ხვეწნა დაუწყო—ნახევარი მიიღეთო და ნახევარს შემდეგ გადავიხდიო. ბანკის წესდების ძალით უარი უთხრეს. თავადმა ცოტა კიდევ მოუმატა. მაინც უარი უთხრეს. ასე უმატა, უმატა და კი არ შეასრულა მთელი ჯამი ვალისა, ცოტა მაინც კიდე დააკლო. ბოლოს გაჯავრდა მისი ბრწყინვალება და ასეთის მუქარით დაბრუნდა სახლში— თუ ჰკუასა ხართ, აიღეთ, რასაც გაძლევთ, თორემ გროშსაც არ შემოვიტან, ჩემს ფულს შინვე წავიღებ და თქვენ-კი ცარიელები დამრჩებითო.

თქვენ თითონ იფიქრეთ, ვინ დარჩებოდა ცარიელი, ბანკი თუ მისი ბრწყინვალება! ბოლოს-კი აღიარა თავადმა, რომ ფული სრულიადა მქონდა, მაგრამ არ მემეტებოდა ბანკში მისაცემად, მინდოდა ცოტაოდენი ჩემთვისაც დამენარჩუნებინაო.

**

საცა თავისი ბედნიერება და საკუთარი ვალი ასე უცხოდ ესმის ქართველ კაცს, რაღა საკვირველი იქნება, რომ საზოგადო კეთილდღეობა და მოვალეობა ქვეყნის წინაშე ჩვენთვის დღეს მარტო რაღაც სახხარ-კედლაო საქმე გამხდარიყოს. დიდად საწყენია, გულის-ჩამწყვეტი ამბავია, მაგრამ რაკი ტყუილს მუდამ სჯობია მართალი, ჩვენც გულ-მართლად ვაღიარებთ, რომ საზოგადო მოღვაწეობა ჩვენში ერთობ ჩამქრალია და მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გამოაბჟუტებს ხოლმე, რომ მიიქციოს თავისკენ ჩვენი მხედველობა, რომელიც სრულებით სხვა ადგილისაკენ არის მიმართული, რომელიც განუწყვეტლივ შესტრფის დუქანსა და ასე შემკობილს არღანს:

ტუდი-სუდი, არღანო,
ოთხო ფეხებიანო!

ამ გვარი დაშრეტილი და წყალწაღებულია ჩვენი ყოველ დღიური იდეალები და მიზეზიც აქ უნდა ეძებოთ, რომ საქართველო დღეს ერთ შვილსაც ვერ დაასახელებს, თუ არ მკვდრებში, ისეთს, რომლის სახეც გულში წმინდად ჰქონდეს ჩამჯდარი ჩვენს ერს და რომლის ქველობა, მამულისთვის თავ-განწირულება, საქვეყნო ღვაწლი ამხნევებდეს ხალხს და მაგალითად ედგეს თვალ-წინ ყოველს შემთხვევაში. არა ჰყავს ჩვენს ქვეყანას ასეთი მამულიშვილები, რომ ითავონ საზოგადო მოღვაწეობა, ამოიყენონ მხარში ყოველი წარმომადგენელი ჩვენის ერისა, ჩაჰბერონ ყველას მადლი ციური და წარმართონ საზოგადო საქმე. გამოვა თითო-ოროლა თონთლე ვინმე ჩვენგანი, ოთხიოდე წკრიმალს მოჰკრებავს აქეთ-იქიდამ ზლაზვნით, ქშენით, და ჰგონია, ეს არის, ეხლა-კი ჩემს სამშობლოს გამოუჩნდი კაცი სამაგალითო, რომელზედაც მთელმა საქართველომ უნდა ილოცოს და სულ ჩემს ხსენებაში იყოს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო. თუ კაცი ხარ და გაჰბედავ ამისთანა ახლად-მოვლენილ გმირის ღვაწლის შესაფერ დაფასებას! ჯერ ვაი შენის ტყავის ბრალი და მერე ვაი იმ საზოგადო საქმის ბრალი, რომელსაც იგი გმირი, იგი გოლიათი ჩასდგომია! „შენისთანა უმსგავსებმა რა იციან ჩვენი ფასიო. ვის დაჰკარგვიხარ, საიდამ სჩხავიო, ჰკნავიო, ჰყეფავო, ტლინკებს ისვრიო, იცოხნებიო" და სხვა ამ გვარი ბაიათები. „მოდი და ამისთანა ხალხში ემსახურე საზოგადო საქმეს, უსასყიდლოდ აავსე და აამწვანე ხრიოკი ქვეყანაო! რაკი აგრეა, მაშ მშვიდობითა ჰბძანდებოდეთო და ჩვენ-კი ვეღარ ვემსახურებით ამ საქმესაო, ჩვენი ყადრი არა გცოდნიათო, ვერ გვაფასებთო".

კიდევ კარგი, თუ ასეთი ლექსებით აიღეს ხელი საზოგადო საქმეზე. ზოგჯერ ისეც მოჰხდება ხოლმე, რომ თუ ყოველ ფეხის გადადგმაზე არ აქე ჩვენებური მოღვაწე, თუ მუდამ წითელი კვერცხები არ უგორე და არ ულოლიავე, — ზემოდ-მოყვანილ ლექსებს ხომ გეტყვის და გეტყვის, საზოგადო საქმესაც ხომ ზურგს შეაქცევს, მაგრამ ამასაც არ დაგაჯერებს, იმ ოთხიოდე წკრილმასაც, რომელიც იმდენის ხვნეშითა და გმინვით მოჰკრიბა, იმასაც წუმწუმას მოუკიდებს და გადასწვავს—ვაი, ჩემს ფეხებს, თუ არ გვაფასებთო და ჩვენს მზეს არა ჰფიცავთო! თითქო თითონ საზოგადოების წევრი არ იყოს, თითქო იმას არა დააკლდებოდეს-რა საზოგადო ზარალით და არა შეემატებოდეს-რა საზოგადო ბედნიერებით.

ასე ესმის თავისი საზოგადოებური მოვალეობა ჩვენს მოღვაწეს, მწერალია იგი, აქტიორია, მასწავლებელია, ქალაქის წარმომადგენელია, ბანკის მოხელეა, თუ აგენტია „წერა-კითხვის საზოგადოებისა" ან წევრია იმის კომიტეტისა, რომელიც „მოვალედა ჰრაცხს თავის თავს" უსამართლობა შესწამოს ყველას, ვინც-კი გაჰბედავს და თუნდა დიდის კრძალვით გამოაცხადებს, რომ მეტის მოლოდინი გვქონდა თქვენის მამულიშვილობისაგანაო და ღმერთმა ჰქმნას, რომ კვლავ მაინც უკეთ გაისარჯნეთ და ჩვენი სამართლიანი მოლოდინი არ გაგვიმტყუნოთო...

სანო

უნებლიედ მაგონდება ტფილისის მაზრის უფროსი ჯანდიერიშვილი, რომელიც, როგორც იუწყებიან გაზეთები, თითონვე დიეძებს არა თუ სახლის დამწველებს, არამედ უბრალო ქურდებსაც-კი.

*** გურია: მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო, სწორედ ჩვენ მოგვდის ასეთი საქმე. ვისაც არა მგონია წერილი მისდის, ამა-და-ამ ადგილას ამდენი და ამდენი მანათი მოიტანე, თორემ გადაგწვამ, გაგანადგურებო. ეწერ გავარდნილი ავაზაკი დარჩიაო. შეშინებულს გურულებსაც მოაქვთ ფული და სდებენ დანიშნულს ალაგს, რათა ამით მაინც მოიგონ განრისხებულის ავაზაკის გული. ამას წინად ოზურგეთის ერთს ვაჭარსაც მიუვიდა ასეთი წერილი, დარჩიას მიერ ხელ მოწერილი. ვაჭარმა შეატყობინა პოლიციას, რომელმაც ფული მიიტანა დანიშნულს ალაგას და თან უყარაულა დარჩიას, მაგრამ ფულის ასაღებად დარჩია-კი არ მივიდა, არამედ სულ სხვა კაცი, ჩვენივე მეზობელი, რომელსაც ყველა კარგად ვიცნობდითო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ლეჩხუმი, 20 ნოემბერი. ჩვენ ვუამბეთ მკითხველებს, რა უთხრა და როგორ დაარიგა ბ-ნმა მაზრის უფროსმა ახალი მოხელენი სასოფლო სამმართველოსანი. ჩვენის აზრით, მეტი არ იქნება შემოკლებით გაცოდინოთ ისიც, თუ რა უბრძანა პირველში ძველ ნამოხელარს ხალხსაც. აი მოკლედ ის სიტყვა ბ-ნ მაზრის უფროსისა: სამი წელიწადი უკვე შესრულდა, რაც თქვენ, ძველნო მოხელენო, ასრულებდით საზოგადოებისაგან თქვენდა ჩაბარებულს თანამდებობას, ხოლო დღეს თქვენი ალაგი და თანამდებობა უნდა გარდასცეთ ახლად არჩეულებსაო. ჩემი მოვალეობაა, დაგანახვოთ როგორ ასრულებდით თითოეულად თქვენს თანამდებობას და ან რა სარგებლობა მოუტანეთ ამ სამის წლის განმავლობაში თქვენს ამომრჩეველთ.

ყველა თქვენგანი ასრულებდა ნაკისრს თანამდებობას სინიდისიერად, ბეჯითად და სიმართლით, ასე რომ თქვენს ბოროტ-მოქმედებასა და უკანონო ქცევაზედ არაფითარი საჩივარი არ დაწყებულა და არც თითონ მე შემინიშნავს რაიმე ცუდი.

სამწუხაროდ, უნდა მოვიხსენიო ისიც, რომ ზოგიერთებმა, მაგალითად: ალპანის საზოგადოების მამასახლისმა ეგნატე ფრეიძემ, ოყურეშისამ—ივანე მეშკუდიონმა, ნაკურალების მსაჯულებმა—ივანე ხეცურიანმა, პეტრე ყრუაშვილმა და ივანე ბობოხიძემ, ჩოლურის მამასახლისმა გიორგი ხორულიანმა, ვერ შეასრულეს სინიდისიერად თავიანთი მოვალეობა. იმათ შევამჩნიეთ კანონის წინააღმდეგი საქციელი და ბოროტ-მოქმედება, რომლის გამო ყველა ისინი ჩემის თხოვნით გადაყენებულ იქმნენ თავიანთ თანამდებობიდამ და გიორგი ხორულიანის გარდა ხუთივე იქმნენ სამართალში მიცემულნი. დანარჩენი ყველა თქვენგანი-კი სინიდისიერად მსახურებდით და ჩირქ-მოუცხებლად ათავებთ თქვენის სამსახურის ვადას.

მაგრამ მარტო ის-კი არ არის საკმაო, რომ არა დაგიშავებიათ-რა, არამედ საჭიროა ვიცოდეთ, რა გააკეთეთ, რა სარგებლობა მოუტანეთ თქვენს ამომრჩეველთ და ყველამ ერთბაშად მთელს მაზრას, რა ნაყოფი გრჩებათ, თქვენის მოღვაწეობის მაჩვენებელი?

მივიღე ლეჩხუმის მაზრის უფროსობა თუ არა, მეორე თვეში მოხდა თქვენი არჩევანი. ამ დროს მთელს მაზრაში არსად სასოფლო კანცელარიები არ იყო აგებული გეგმისამებრ. საქმეები სასოფლო სასამართლოში არა სწარმოებდა წესიერად, ასე რომ თვით განაჩენები სოფლის მოსამართლეთა ორ-ორის წლობით ჩაუწერელი რჩებოდა დავთრებში. ეხლა თქვენის მეცადინეობით კანცელარიები ყველგან გეგმისამებრ მოეწყო და საქმეთა წარმოებაც წესიერ საფუძველზედ დამყარდა. ამას ჰმოწმობს ორგზის მომხდარი რევიზია ბ-ნის გუბერნატორისა, რომელიც კმაყოფილი და მადლობელი დარჩა.

სახელმწიფო ბეგრის გარდასახადი იყო დარჩენილი 19,434 მან. 3 კაპ. აქედამ თქვენ შეიტანეთ ხაზინაში 5,332 მან. 51 კაპ. დანარჩენი 14,101 მან. 52 კაპ. ითვლება პოლიციის ბოქაულად ნამყოფს ბ-ნს ახვლედიანზედ, რომელსაც დაუხარჯავს ეს ფული ზემოხსენებულ შენობათა ასაგებად. დღეს არც ერთი კაპეიკი არ ირიცხება თქვენზედ სახელმწიფო ხარჯი. ასე გაწმენდილს ანგარიშს აბარებთ თქვენ ახალ მოხელეთ.

გზები საზოგადოდ მთელს მაზრაში მეტად გაფუჭებული იყო, ისე რომ მგზავრობა მხოლოდ დიდის გაჭირვებით შეიძლებოდა. არა თუ სოფლად, არამედ ალპანიდამ ცაგერამდის, სადაც არის დაფუძნებული სამაზრო დაწესებულებანი, თვრამეტის ვერსტის მანძილზედ ისე გაფუჭებული იყო გზა, რომ, ზამთარში-კი არა, ზაფხულშიაც, როცა წვიმიანი დღეები დადგებოდა, გავლა მეტად გასაჭირი იყო. ხიდები და ბოგირები გაფუჭებული იყო და სხვა. ეხლა თქვენის მეცადინეობით ეს გზა კარგად გაკეთებული და ქვა-მოყრილია. ცაგერიდამ დაწყებული სენაკის მაზრის საზღვრამდის ირიცხება ოცდა ათი ვერსტი, ეს გზა მეტად საჭირო იყო აქაურ მკვიდრთათვის, მაგრამ დატოვებული იყო უყურადღებოდ. ეხლა თქვენის მეცადინეობით ეს გზაც გაკეთდა, საცა საჭირო იყო, მოეყარა ქვიშა და გაიწმინდა. ცაგერიდამ ჯანხუნდრამდის, სადაც დაფუძნებულია ლაშხეთის სასოფლო კანცელარია, გზა და ბოგირები ამ ორმოც-და-ცხრა ვერსტის სივრცეზედ ისე გაფუჭებული იყო, რომ მეტად საშიში იყო ზედ სიარული და მისვლა-მოსვლა. ეხლა ეს გზაც გაკეთდა თქვენის მეცადინეობით. სასოფლო გზებიც დღეს ერთი-ორად განკარგებულია.

ლეჩხუმში, როცა მივიღე ამ მაზრის გამგეობა, თქვენც დაიწყეთ სამსახური, ქურდობა მეტად მძვინვარებდა. ეს იქიდამ მტკიცდება, რომ 1873 წ. დაწყებული 1887 წლამდის ქურდობისათვის არიან სასამართლოებისაგან ღირსება ჩამოხდილი აზნაურთა წოდებისანი ორმოც-და-ორი კაცი. იმავე წოდებისანი არიან მცირე-წლოვანნი ოთხი დაპატიმრებულნი. ხოლო გლეხთა წოდებისანი ამ ნაირსავე დანაშაულობისათვის არიან დასჯილნი დაპატიმრებით ოცრმოც-და ჩვიდმეტი კაცი, სულ ასზე მეტი. ხოლო რამდენი იქნებოდა ამ ხნის განმავლობაში ისეთი, რომლის დანაშაულობის დამტკიცება გაძნელებულა და სამართალს ვერ დაუსჯია დამნაშავე. მაგრამ ამ სამის წლის განავლობაში ამ გვარი დანაშაულობა ჩადენილა სამს აზნაურს და რვა გლეხს. რაც წინად ყოველ წელიწადში ავაზაკობა და საზოგადოდ ავ-კაცობა მომხდარა, იმდენი მხოლოდ სამს წელიწადში მოხდა ამ ბოლოს დროს. აქედამ ცხადად სჩანს, რა ზომამდის უკლია ამ მაზრაში ქურდობასა და ავაზაკობას და რა ზომამდის შესუსტებულა ეს საზიზღარი სენი და უზნეობა ადამიანისა. მე ყოველთვის მკაცრი ყურადღება მქონდა და მაქვს მიქცეული და ვსცდილობ, მოვსპო და ამოვკვეთო ასეთი ბიწიერება. სასიამოვნოდ ჩემდა ვხედავ, რომ, თქვენის დახმარებით, საკმაოდ შევვისუსტებია ზემო აღნიშნული ცუდ კაცობა და ავ-ხელობა.

მოვიხსენე ყოველი ის ნაღვაწი, რაც თქვენ მიგიძღვით წინაშე თქვენის საზოგადოებისა და მთავრობისა. ამიტომ ყველა თქვენგანს გიცხადებთ ჩემს გულითადს მადლობას მხნედ და პატიოსნად სამსახურისათვის. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და ხელის მომმართველი ყოველს საქმეში!“

ძველი მოხელენი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ: მეტად გაეხარდათ, რომ იმათ ღვაწლი და მეცადინეობა შეუმჩნეველი არ დარჩა და სიტყვიერად მაინც კეთილად მოიხსენია მაზრის უფროსმა და მოურავმა. ამისათვის დიდი მადლობა გადაუხადეს ძველ, ვადა გასულ მოხელეებმა ბ-ნს მაზრის უფროსს: ღმერთმა თქვენი ზრუნვა ნუ მოუშალოს ჩვენს ხალხსაო. შემდეგ მაზრის უფროსმა დაარიგა ახალი მოხელენი და დაიშალა კიდეც კრება. ამ დარიგების შესახებ მკითხველებს უკვე ვაცნობეთ ყოველივე...

ქართხისხრი გლეხვანი

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს პატარა შენიშვნას ადგილი უბოძოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“.

წარსულ ოქტომბრის თვეის გასულს, ღამის 12 საათზედ, თავზე დამესხა თორმეტამდე შეიარაღებული კაცი. რადგან არც ხარისხი და არც მომზადება ნებას არ მაძლევდა წინააღმდეგობა გამეწია ავაზაკებისათვის, ამიტომ მე მეორე კარებში გამოვარდი მეზობლების დასაძახებლად, მაგრამ იქვე კარებში დარაჯი მდგარიყო, რომელიც დამედევნა და მიიმედ დამკრა მარცხენა ხელში. შინ ყაჩაღებთან ამ დროს მარტო მოჯამაგირე და კიდევ სხვა გარეშე კაცი დარჩა. თუმცა ერთ ავაზაკს ქუდი დარჩა ჩემს ეზოში და ეჭვიც მქონდა ორიოდეზე, მაგრამ, რადგან მე თვალით (გარდა ერთისა, რომელიც ღამე გარედ ვერ გავარჩიე) არავინ მანახავს, ამიტომ ცარიელის ეჭვით არავინ არ დამისახელებია განაჩენში. მე მეგონა პოლიცია შეუდგებოდა ავაზაკების ძებნას, მაგრამ იმედმა მიმტყუნა. რაც იყო, მადლობა ღმერთს, ავაზაკებს გადავურჩი, მაგრამ ცილისმწამებლებს-კი ვერა, რადგან ამ მოსტოვიამ ათას ნაირი უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა ასტეხა ხალხში: ზოგიერთი კაპასტონები ავრცელებენ ხმას, ვითომც სულ აჭარებზე მქონდეს ეჭვი და ზოგიერთ ისეთ კაცებს ლანძღავენ, რომლებიც არასოდეს ცუდს საქმეში არა ყოფილან შენიშნულნი და რომელთაგან მე მხოლოდ პატივისცემა და მამაშვილური სიყვარული მახსოვს. ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ იმ კაცებზე, რომელთაც ცილის მწამებლები მტრობით შეურაცხყოფენ, მე არასოდეს ეჭვი არა მქონია და არც მაქვს.

გორეშის მრევლის მღვდელი
სიმონ კურტანიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლოს დროს ევროპისა და რუსეთის გაზეთებმა იმის შესახებ ჩამოაგდეს ლაპარაკი, რომ გიმნაზიებში ძველის ენების სწავლება შევამოკლოთ როგორმეო, რადგან იმდენი სარგებლობა არ მოაქვს, რამდენიც დრო უნდებაო. აი სხვათა შორის ამის შესახებ რას ამბობს გაზ. „Кіевлянинъ“-ი:

ძველ ენათა უნაყოფობის საჩივარი იმასა აქვს გამოწვეული, რომ ამ მხრივ მოსწავლენი ძალიან ვერ იმარჯვებენ. მართლაც-და, რვა წელიწადი ყოველ დღე სწავლობს ბავშვი ლათინურს ენას და მაინც სწავლის გათავებისას ისევე ცოტა სიტყვები იცის ამ ენაზედ, ისევე გაჭირვებით კითხულობს ძველთა მწერალთა ნაწარმოებს, როგორც მაშინ კითხულობდა, როცა ამ ენათა სწავლებას მესამე კლასიდგან იწყებდნენ და გაცილებით უფრო ნაკლებს დროს ანდომებდნენ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მოსწავლეთა უმეტესობას ძალიანა სძულს ძველი ენები. რასაკვირველია, გიმნაზიის მოსწავლეებმა კარგად იციან ლათინური გრამატიკა, მაგრამ იქნება კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ძველს ენებს არავითარი სარგებლობა და ნაყოფი არ მოაქვს? ყველა ენის გრამატიკა დაუსრულებელი მასალაა, მაგრამ ეს მასალა მარტო ოდენ მეცნიერ ფილოლოგისათვის თუ გამოდგება. უმაწვილებისათვის იგი მხოლოდ თავის მომაბეზრებელი და გულის გამაწვრილებელი იარაღია. როცა გრამატიკას დაბეჯითებით ასწავლიან, არავითარს წვლილს არა სტოვებენ შეუთვისებელს, განა ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ საშუალება, სახსარი მიზნად, საგნად გაიხადოს კაცმა? იმისას არა ვიტყვით, რამდენად არის საჭირო გრამატიკა ენათა შესასწავლებლად, ეს სპეციალური საგანია და არა ჩვენი საქმე, მაგრამ იმას-კი ადვილად დავამტკიცებთ, რომ ძველის ენების სისტემით რომ ახალს ენებს ასწავლიდნენ, მაშინ ეს ენაც ისე მცირედ და ნაკლებად ეცოდინებოდათ მოსწავლეებს, როგორც ძველი ენა იციან. ამ მოსაზრებათა წყალობით აშკარაა, რომ ჩვენი გიმნაზიები მეტად გამოსდგომიან გრამატიკას და რაც უფრო საჭიროა, იმისთვის-კი გზა აუხვევიათ და თვალი აურიდებიათ.

**

ტფილისის გაზეთებში ცოტა საყვედური არ ვამოითქვა ამიერ-კავკასიის სამეურნეო გამოფენის მმართველთა და გამგეთა მიმართ. ზოგი რას უჩიოდა ამ საქმის გამძღოლს კაცებს და ზოგი—რას. აი ერთი ამისთანა საჩივარი კიდევ «Сѣв. Кавказъ»-ში დაბეჭდილს წერილშია გამოთქმული. ეს წერილი ეკუთვნის სტავროპოლის გუბერნიის საერო სკოლების ინსპექტორს, ა. ივ. თვალჭრელიძეს. ბ-ნს თვალჭრელიძეს გამოუფენია მეფუტკრეობის განყოფილებაში სხვა-და-სხვა სკა, სანთლის სადნობი, თაფლის მომღები და სხ. სამეფუტკრეო იარაღი. ექსპერტებს და მათ შორის ბ-ნ შავროვსა, კ. გორბაჩევსა და ნ. შაუმოვს, მარტო ბ-ნ ოსტაპოვიჩს გარდა, ერთხმივ უღიარებიათ, რომ ოქროს მედალის მიმღებთა შორის პირველ კანდიდატად ბ ნ თვალჭრელიძე უნდა ითვლებოდესო. დასაჯილდოებელთა სიის პირველს ალაგზედაც იგივე ბ-ნი თვალჭრელიძე იყო თურმე აღნიშნული. ტფილისიდგან წასვლისას სცოდნია ეს ამბავი ექსპონენტს და ამიტომ არ დაუფარავს ნაცნობებისათვის, რომ ოქროს მედალს მე მაკუთვნებენო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლებია ბ-ნს თვალჭრელიძეს და მედალი ვიღაც ბ-ნს პრიტულენკოს რგებია.

ამ გვარადაო, ამბობს თვალჭრელიძე: რაღაც უცნაურის კვევ-მალულობის წყალობით, მე ბაქია და ტრაბახა გამოვედი იმათ წინაშე, რომელთაც მედალის ამბავი ვუთხარ და რომელთა აზრი უფრო ძვირად მიმაჩნია, ვიდრე ოქროს მედალი. სწორედ აი ეს გარემოება მაიძულებს ვსთხოვო პატივცემულს ნ. ნ. შავროვს, ამიხსნას და განმიმარტოს ეს ახირებული და უცნაური ამბავიო.

ფრიად საყურადღებოა, რა პასუხს გასცემენ ექსპერტები და რას დაასაბაბებენ ამ უცნაურს გამოწირვას იმ ჯილდოსას, რომელსაც თითონვე დაჰპირებიან და რომლის ღირსად თითონვე უცვნიათ ექსპონენტი?!

## უცხოეთი

გერმანია. თუ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონ-პროექტის შეწყნარება გაუძნელდა რეიხსტაგს, მთავრობა ჯერ ხანად უკან წაიღებს იმ კანონ-პროექტს შესაცვლელად და დასამატებლადაო. ვიდრე იგი კანონ-პროექტი ხელ-მეორედ წარედგინება რეიხსტაგს, ისევ ძველი დროებითი და განსაკუთრებული კანონი იმოქმედებსო.

— ვესტფალიაში კვლავ დაიწყეს ღელვა მთა-მადანის მუშებმა. ოც და-ხუთის მღვიმის მუშებმა აირჩიეს დელეგატები, რომელნიც შეიკრიბნენ ერთად და გადასწყვიტეს, ავილოთ ხელი მუშაობაზე ყველამ, თუ მღვიმეების პატრონებმა არ მოგვიმატეს დღიური ფასიო. მღვიმეების პატრონი ჰამბახერი, რომელიც დეპუტატად არის, დიდად სცდილობს მშვიდობით მოარიგოს მუშები და მთა-მადნის პატრონები. ამასავე სცდილობს აგრეთვე დეპუტატი შტოცელი. ამ ორმა დეპუტატმა დიდი სიკეთე დასთესეს წინანდელ უწესოების დროს ვესტფალიაში. ეხლა-კი ძლიერ გაუჭირდებათ მორიგება ერთმანეთში მუშებისა და მადნების პატრონებისა და ისე უფრო მუშებისა არა, როგორც მთა-მადნების პატრონებისაო. ამბობენ, რომ თვით იმპერატორი ჩაერევა ამ საქმეში და დორტმუნდს აპირებს წასვლას მუშებთანაო.

ბრაზილია. როგორც გამოირკვა თანდათან, ბრაზილიის იმპერატორს დონ-პედროს თითქმის თითონვე შეუწყვია ხელი რევოლიუციისათვის. დონ-პედროს სცოდნია, რომ ბრაზილიაში დიდი დასი შემდგარა რესპუბლიკის დასაარსებლად. ამ დასს დაუწყია ქადაგება ჯარსა და მოხელეობაში რესპუბლიკის დაარსებისა და მონარხიის გაუქმებისა, მაგრამ დონ-პედროს ყურადღება არ მიუქცევია, არავითარი ღონისძიება არ მიუღია. ჩემი წესი ის არის, რომ ძალმომრეობის ღონისძიებას არას დროს არ ვიხმარ და, როგორც ერჩიოთ, ისე მოიქცენო. ახლა ხომ ასე ამბობს თურმე ექს-იმპერატორი: მე ხელსაც არ გა-

ვანძრევ, რომ კვლავ დავიბრუნო ტახტი; სრულიად არავითარი სურვილი არა მაქვს სახელმწიფო საქმეებს შევუდგე კვლავაო. შევიტყე თუ არა, რომ რესპუბლიკელებმა რევოლიუცია მოახდინეს და რესპუბლიკა გამოაცხადეს, მაშინვე დავყე იმათ ნებას და დავნებდი დროებით შემდგარს მთავრობას. როცა ჩამსვეს ხომალდში და ევროპისაკენ გამომგზავნეს დიდხანს ვუცქირე ბრაზილიის ნაპირებს. რაკი ბრაზილიის კიდენი თვალთაგან მიმეფარა, მაშინ ავუშვი ფოსტის მტრედი, რომელსაც ზედ წერილი მიეაბი ბრაზილიასთან გამოთხოვებისა. იმ წერილში ვწერდი: „უკვე საევროპიო ზღვებში შემოვედი, წაულე, ერთგულო მოციქულო, და მიუტანე ბრაზილიას ჩემი უკანასკნელი სალამიო“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ამას წინად ტრიესტიდამ ავსტრიის მთავრობამ განდევნა იტალიელი ულმანი, რომელიც იქ რედაქტორად იყო ერთის იტალიურის გაზეთისა. ამაზე დეპუტატი იმბრიანი შეეკითხა კრისპის დეპუტატთა პალატაში, რას ჰნიშნავს ასეთი ქცევა ავსტრიისა, რომელიც ჩვენს მეგობრად ითვლებაო. კრისპიმ გამოაცხადა, რომ ვერავითარს პასუხს ვერ მოგცემთ მაგ საქმის გამოვო. ეს იწყინა ულმანმა. სამინისტრო ხომ ბიურო არ არის მარტო მთავრობისათვის სასურველის კანონების შემოღებისაო. მაგ პასუხით მთავარ-მინისტრი არღვევს უფლებას დეპუტატობისას და პარლამენტისასაცაო. კრისპის ნება არა აქვს არ მომცეს პასუხი, როცა ვეკითხები მთავარ-მინისტრსაო. ცხადია, იმიტომ არ იძლევა პასუხს, რომ ერიდება ტყუილში არ დამიჭირონო, რადგან მაგას ჰგონია, რომ ულმანი იტალიის ქვეშევრდომი არ არისო. თავმჯდომარემ სთხოვა იმბრიანის, რომ უმართებულო სიტყვებს ნუ ხმარობთო. სიტყვა ტყუილი აქ არ შეიძლება ითქვას. შეიძლება შეცდომა იყო, განგებ ტყუილს-კი კრისპი არ იტყოდაო.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

5 დეკემბერი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გუშინ აკურთხეს სახელდა-ხელოდ აშენებული სამკურნალო პეტერბურგის ბირჟის ვაჭართა სახსოვრად იმპერატორის ალექსანდრე II ისა კურთხევას დაესწრნენ: მფარველი სამკურნალოსი—მემკვიდრე ცესარევიჩი, ფინანსთა მინისტრი და მინისტრი შინა საქმეთა, ქალაქის უფროსი, მეციხოვანეთა უფროსი და სხვა მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი აგრეთვე ბირჟის ვაჭარნი სახლობითურთ. სამკურნალო გააკეთა და შემდეგაც შეინახავს თავის ხარჯით ბირჟის ვაჭრობას. ავადმყოფთ უფასოდ მიიღებენ. სამკურნალო დაიწყებს მოქმედებას 6 დეკემბერს და შიგ 50 საწოლი იდგმება. ზაფხულში აშენდება კიდევ სამკურნალო ელისეევისა და მაშინ საწოლთა რიცხვი გახდება 75. შენობა დიდია და შესაძლო იქნება 100 საწოლის დადგმა. სამკურნალო სმოლენსკის მინდორზეა. ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს უწყებას. იმის საქმეებს განაგებს სამკურნალო კომიტეტი.

„Journal de St. Petersbourg“-ი არღვევს ერთს ბერლინელ გაზეთის ამბავს, ვითომც რუსეთის მთავრობა აპირობდეს დამოქანის ხარჯის გაორკეცებას საქონელზე, რომელსაც მოიტანენ იმ სახელმწიფოთა გემებით, რომლებთანაც სავაჭრო პირობით არ არის შეკრული რუსეთი.

სამხედრო საბჭოს წევრს, გენერალ-ადიუტანტს მარდვინოვს უმაღლესის სიგელით ებოძა ორდენი წმ. ვლადიმერისა 1 ხარისხისა 50 წლის იუბილეის გამო.

გუშინ გარდაიცვალა პროფესორი სამხედრო მედიცინის აკადემიისა დობროსლავინი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. საბერძნეთის მთავრობამ გაუგზავნა დიდრონ სახელმწიფოებს ცირკულიარი, რომელშიაც აცხადებს, რომ უკანასკნელი ფირმანი სულთანისა არღვევს კრიტელების უფლებასაო. შემდეგ ნათქვამია ცირკულიარში, რომ უსამართლო მოქმედება კრიტელების მიმართ ვალდებულს ჰყოფს საბერძნეთის მთავრობას არას გზით არ მოექცეს ამ ამბავს გულგრილადო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. სასსუნელ სომხები თავს დაესხნენ ქურთებს, რომელთაც მოჰკლეს ერთი სომეხი. აქაურმა მთავრობამ გაგზავნა ჯარი ქურთების მისაშველებლად, მაგრამ ქურთები ჯარითურთ დასძლეულ იქმნენ. შემდეგ გაიგზავნა ახალი ჯარები და საეჭვოა, რომ სომხები გამაგრდნენ.

ᲡᲐᲐᲠᲑᲠᲘᲣᲙᲔᲜᲘ. ხაზინის ქვა-ნახშირის რამდენისამე მაღნის მუშებმა უარი სთქვეს დღეს მუშაობაზედ. უარის მთქმელთა რიცხი, როგორც ამბობენ, 5—6 ათასამდე იქნება.

ᲕᲐᲚᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ. გუშინ აქ კრება იყო მაღნის მუშებისა და დაადგინეს: ამოვირჩიოთ კომისია და იმას დავავალოთ იშუამდგომლოს მაღნების გამგეობის წინაშე, რომ სამუშაო ვადად 8 საათი იქმნას დაწესებულიო. თუ გამგეობა ამას არ დათანხმდა განსაკუთრებული დეპუტაცია გაუგზავნოთ იმპერატორსაო. სხვა და სხვა ორატორები, რომელთა კრებაზედ ილაპარაკეს, მუშებს ურჩევდნენ, რომ წესიერებას ნუ დაარღვევთ და სოციალისტთა წაქეზებასა და რჩევას ნუ მისდევთო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | „ | 7 48 |
| ტამოჟნის კუპონები | 149¼ | „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 253¾ |
| —მეორისა | — „ | — „ | 257,₅₅ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 96¾ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 97½ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | 84¼ | — „ |

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲦᲘᲕᲘᲜᲝ

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი ღვინო რუსული 1 გირ. 5 კაპ. ღვინო 1-ის ხარისხისა. | | 3½ |
| „ 2 | | 3 „ |
| თონის წითელი ღვინო 1-ის ხარ. | | 5 „ |
| „ „ 2 „ | | 4 „ |
| „ „ 3 „ | | 3½ |
| ჯვარის მამის ღვინის ლავაში 1-ლის ხარისხისა | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 „ |
| მე-3 — | | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 „ | | 7 „ |
| სუკი | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 „ |
| ღორის ხორცი | | „ „ |
| „ 2 „ | „ | „ „ |

ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით | „ | 25 |

# ᲥᲝᲥᲝᲠᲘ

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

# ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ.

ბუნების კარი ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘ და ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ᲤᲐᲡᲘ უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ᲮᲣᲗ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ (70 კაპ.), ვინც **ოც-და-ათს ცალსა**,—ᲪᲐᲛᲔᲢ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—ᲡᲐᲛ ᲐᲑᲐᲖᲐᲓ (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.